


სიანთა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბავშვებისათვის ყოველთვიურად 20 კაპ.



ნ. ა. ჯ. ლომუაძე

- რაზე გაგვიკვირებთ, შვილო, ეს ახალგაზრდა?
- ქალიშვილს ეცა ქუჩაში!..
- მამ გიჟს რას ეჩივით, ის ქალიშვილი გააკრავთ!

ნიანგი მიასალაგა 70 წლის ბესარიონ ქლანს

ჰე, ბესო ქლენტო, შენ ეტრფი უკომპრომისო კრიტიკას!
დიდი გაქვს გვარი, სახელი! დამსახურებაც დიდი გაქვს!
ხარ ბარომეტრი ქართული ლიტერატურის დინების!
ვარდს ეკლისაგან ანსხვავებ, სწორად არ მოეფინები!

განვლე გზა ტკივილიანი, ქარიშხლიანი, კლდოვანი!
სჯობს შენთან შეკამათებას ღუმილი სახელოვანი!
ჯაჭვგაუნდელი მებრძოლო და დაუღლელო ტრიბუნო,
მინდა, ასი წლის ასაკშიც, მაგ ენერგიით გიგულო!



მეგობრული შარტი ბ. ფირცხალაშასი

გზის ვაშლებს, თუ როდესუ გზას?..

ფრთაფარფატა თოლიებივით მოფრინავენ რედაქციაში წერილები. საიდან არ გვატყობინებენ თავიანთ ამბავს, საიდან არ გვეხმაურებიან! ზოგს რა აწუნებს და ზოგს — რა! მოვა ფოსტალიონი, ბარათებით სავსე ჩანთას მაგიდაზე წამოაპირქვავებს და გაჰყვება ისევ თავის გზას. გახსნი კონვერტებს და, წერილების უმრავლესობაში, სწორედ გზებზე ამოიკითხავ საყვედურს. კითხულობ და გული სინანულით გვეცება...

„ბჭარის მაღალ მთებში მდებარეობენ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები. წინათ აქ არ იყო გზები. პარტიის და მთავრობის დიდმა ზრუნვამ ყველა სოფელში გაიყვანა სამანქანო გზა, ვერც ერთ სოფელს ვერ ნახავთ ახლა უგზოდ, ყველა სასოფლო საბჭოს ცენტრში და ზოგიერთ დიდ სოფლებშიც იქნა ავტობუსები დანიშნული.“

რომელი სოფლის სახელს არ ამოიკითხავდით ავტობუსზე! მგზავრთა მომსახურება ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ, უცებ, გაჭირვება ავტობუსები. „რატომ? რისთვის?“ — როდესაც ვიკითხავთ, ამბობენ, ასე არის საქირო და ასეაო.

ნეტავ, თქვენი თვლით ნახოთ, რა გასაჭირშიც ვართ ჩავარდნილნი: ღია მანქანით არ შეიძლება მგზავრობა, მსუბუქი მანქანა ყველას არა გაჰქვს. ავტობუსები აღარ არის და რამდენიმე ათეული კილომეტრი ფეხით უნდა გაიარო.“

გვწერენ აჭარიდან და წერილებს დიდ კითხვის ნიშნებს უსვამენ.

აჭარლების მოთქმას ტყიბულელებიც უერთდებიან:

„ტყიბულში არის მახარაძის ქუჩა თავისი შესახვევებით. ჩვენ სწორედ ამ ქუჩის I შესახვევის მესხატეები გაწუნებთ. ჩვენი შესახვევის გზაზე მანქანები ვერ დადიან, იმოდენა ოღრო-ოღროობითა. კაცს დღე შეუძლია გავლა და ღამე — არა. სამი წლის წინ გამოჩნდნენ მშენებლები, ამოიდეს ქუჩის ორივე მხარეს ორმოები და გაუჩინარდნენ. სამი წელია, ვაწუნებთ ადგილობრივ ორგანოებს და სამი წელია გვპასუხობენ: წლებადღელ გეგმაში არაა გათვალისწინებული თქვენი გზის მშენებლო-

ბაო. (ადრე ტბილი სიტყვით მაინც გვამზვიდებდნენ!)
იქნება, თქვენი დახმარებით მაინც შეიტანონ 1974 წლის გეგმაში?“

მეორე წერილსაც ტყიბულის ფოსტის ბეჭედი აზის:
„ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურის მოსახლეობას აუსრულდა სანატრელი ოცნება: 1972 წელს დანიშნა ტყიბულ-მუხურის გზაზე ავტობუსი. მაგრამ ხალხის სიხარული დიდხანს არ გაგრძელდებოდა, ამა წლის ივნისის თვეში ავტობუსი მოხსნეს გზის უვარგისობის გამო. გზის შეკეთება მიმდინარეობს ნელი ტემპით და უხარისხოდ. ყოველდღიურად ათასკომლიანი სოფლის მცხოვრებლებს უხდებათ სატვირთო მანქანებით მგზავრობა.“

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საქარის მცხოვრებლები გულისტკივილით მოაგონებენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესა და არგვეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს სასოფლო გზაზე წინათ დაგებულ ასფალტს. ამჟამად ამ გზაზე კუხებივით მოჩანს ნაასფალტარი ადგილები, რომელზედაც მანქანა სლოკინ-სლოკინით გადადის მაღაყებს. არც სოფლის მისასვლელი და შიდა გზებია უკეთეს მდგომარეობაში. ქვემო საქარელები მანქანით სიარულსა და თავის განწირვას ისევ ფეხით სიარულს ამჯობინებენ: სვენებ-სვენებით მიჰყვებიან ნაასფალტარს და ტბილი მოგონებებით იხსენებენ დაუძღვრებულ გზის სიკაბუკეს. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ამავე რაიონის სოფელ ფუთის გზები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფუთში, წვიმიან ამინდში, მანქანის კი არა, საცალფეხო გზაც არ ჩანს.

ზესტაფონის სამგზავრო ასს-ის დირექტორი კვალითის გზებს კი არა, რელიეფს უჩივის, აღნიშნული მიზეზის გამო ოთხი ათას მცხოვრებიან სოფელს ყოველდღე ერთ 23 ადგილიან „პაზ-672“ მარკის ავტობუსს უგზავნიან და ამით იხდის კვალითელთა ვალს.

„საოცარია: „ლაზის“ ტიპის ავტობუსები მუშაობენ ზესტაფონ-თბილისის, ზესტაფონ-მაიაკოვსკის, ზესტაფონ-

პირველი სვირის, ზესტაფონ-საზანოს მარშრუტებზე და მათი სავალი გზის რელიეფი როგორ იძლევა შესაძლებლობას კვალითის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე მგზავრობისათვის?“ — გვწერენ კვალითელები.

გურჯაანელები თავიანთ წერილს სიმღერა „ახ, მთვარე, მთვარეთი“ იწყებენ: „გურჯაანში, ნატო ვანაძის ქუჩის მცხოვრებნი, დიდ გაჭირვებას განვიცდით; გვეშინია წვიმიხა. გაგიკვირდათ? გვეშინია იმიტომ, რომ, წვიმის დროს, ჩვენს ქუჩაზე ვერ გამოხვალთ: ისეთი დიდი გუბეები დგება, რომ ნავით თუ გაცურავთ ერთი ნაპირიდან მეორეზე. ახლა განათებას არ იკითხავთ? ასეთ დიდ ქუჩაზე ერთ ნათურასაც ვერ ნახავთ. მოკლედ, მთვარის იმედით ვცხოვრობთ.“

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის წილობის უბნის მშრომელები გვწერენ:

„ჩოჩხათამდე მანდარინი, ჩაი, ტუნგო გადაგვაქვს ტრაქტორით. გზა დახრამულ-დანგრეულია. როდის გადავიჩეხებით, არ ვიცით. მესვეურები თავს არ იწუნებენ გზის შეკეთებაზე. ორი თვეა, გაზი არ ამოუტანიათ. დაკეტეს ღუქანი, სადაც იყიდებოდა პური, ნავთი, მარილი და სხვა პროდუქტები.“

მართლაც რომ ძნელია უგზოობა დაწუნებულ გზებზე კი სოკოებივით მრავლდებიან ხალტურის მოყვარული კერძო მანქანები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტაქსებიც. იმ განსხვავებით, რომ წინანდელი 50 კაპიკის ნაცვლად, ახლა უგზოობის საბაბით, ხუთჯერ მეტს არ იცვლიან. ნაკლებად ფებს არ იცვლიან.

გზა ყველასგან მოითხოვს ზრუნვას: სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, მეურნეობის დირექტორმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თუ საგზაო სამმართველოს მესვეურმა ღვთის ან მთვარის იმედზე არ უნდა დატოვოს იგი, რადგან სხვა რომ არაფერი, შემოწმებლებიც სწორედ იმ გზებით მოდიან იმავე გზების შესამოწმებლად.

მისალავი გამოცდები საბავშვო ბაგა-ბაღში

წლინახევრის როცა გახდა
თითისტოლა ჩემი ბავშვი,
საბუთები შევეუგროვე,
მივიყვანე ბაგა-ბაღში.

თითქოს ბრიჯიდ ბარდო იყო,
ისე შემომხედა გამგებ,
განმიმარტა: — ჩვენ ვლედულობთ
ბავშვს დამჯერეს, ჭკვიანს, გამგებს.

დავუჩოქე, დაველოჩე:
— დააკვირდით, ავერ ხომ ზის,
უბატონოდ ხმას არ გავცემს,
არის ნაღდი ანგელოზი!

— მტირალაა?
— არ გაგიყდეთ!
მიღმარე აქვს მუდამ პირი!
— როცა ღვიძავს, როცა შია
და წყურია, მაშინ ტირის!

— სმენა თუ აქვს?
— ნუ იკითხავთ! მგონი, გენიოსი არის!
ტელეფონის ყურმილს იღებს,
როცა კარზე რეკავს ზარი.

— ლაპარაკობნ?
— რომ დაიწყებს,
აპარტყალებს ენას დიდხანს,
დედამისის შვილია და
მალე ენით ზურგს მოიფხანს.

— ჭკვიანია?
— ჭკვიან მშობელს
ლენჩი გაუზრდია როდის?
ჩემს სიდედრს რომ დანახავს,
პყვირის: „მამა, ბუა მოდის!“

— ზომა? წონა? ჯანმრთელობა?
როგორი აქვს ჭამის მალა?
— ჭამს, სვამს კარგად, თან იზრდება
მას შემდეგ, რაც დაიბადა!

— სად მუშაობს?
— ბავშვი?
— დედა!
— დედამისი არტისტია.
მამამისი მეღვინე და
გამოცდილი არყისტია!

— ვერ მივიღებ,
ძმაო, თქვენს ბავშვს!
— რატომ?
— ძალზე გამხდარია,
მგონი, კიდევ მცივანაა,
თანაც ახლა ზამთარია.

— გეხვეწებით!..
— საბუთებიც
რომ არა გაქვს სრულყოფილი?
— ამ ცნობაში ერთი სიტყვა
ორად რად გაქვს გაყოფილი?

— ქალბატონო, გამიგონეთ!..
— ნულარ ელი ჩემგან იმედს!
ხედავ, ამ შენს განცხადებას
რომ აკლია წერტილ-მძიმე?!
— მიიღეთ და... ჩემზე იყოს,
არ დაგრჩებით, მგონი, ვალში!..

მეორე დღეს ბაგა-ბაღში
თამაშობდა ჩემი ბავშვიც.

ზანო ცინცაძე

საშვიდნოემბროდ „ნინავმა“ ბევრი მოსალოცი დებუმა მიიღო. გვი-
ლოცავდა ყველა, ვისაც „ნინავი“ უყვარს, ვისაც, საერთოდ, არ ეშ-
ნია კრიტიკის.

მოლოცვათა შორის განსაკუთრებით გაგვახარა ერთმა დებუმა:

თბილისიდან 7/001 70 3/11 1400

ჩაბაკლას 7 ნოემბერს თბილისი 3

აკუსთავიდან 42 უბანად ნინავის კადატხორს

ნინავის 1973 წლის ნა18 უბანადის უბანდებმა

ქიდევ ეკთხეჩი გვახსნო თუ კომპოქ შიანუხა

სახვაკადი ნინავი ჩვენი თანამეხმარებელია

მიღებულმა დეპუტატმა წახ შევიკვამო ნინავისა

და ხადხის მდგომარეობაში და ვიწყებთ

თანამართლობით გაღასვდას ქაბთური დეპუტატის

ქაბთური ანბანით დანუშავებაზე წახ იხედი

გვაქვს კონ ახლო მონავადი ეკთად დავისვენებთ

სახვადეუბანიდან წახ გიღმხებთ მქმომბარის

სომხიადისუბანი ჩვენიადისი ბახყინვადა

დღესასწაულს აიკვადი ქაბთური დეპუტატ წახ

პახვივისხენით საქაბთვიდოს ქავნიკგაბმელობის

ნინავის ჩუკაბ ჩხეიძე-

რუსთაველის 12, სა-
პარტვიდოს სსრ პავშირ-
გაბეულოვის მინისტრს—
ახს. ზურაბ ჩხეიძეს!

მოგილოცავთ ქართულ
სატელეგრაფო საქმეში
დიდ გამარჯვებას წრტ ერ-
თობ სახიხარულოა, რომ
ამ საქმეს საბოლოოდ და-
ესვა წრტ.

ვისურვებდით, მომავალ-
ში ტელეფონითაც კი შეგ-
ძალეობდეს დავკვირება
წრტ.

ნინავი

ბუბერანგი

ანხანავთან გადაუღებელი
საქმე მქონდა, ამიტომ სამსახური-
დან ცოტა ადრე გამოვედი. სამუ-
შაოზე არ დამხვდა: საღდაც უნდა
მიესწრო და წავიდაო. გავცოფდი,
როგორ შეიძლება, ადგილზე არ
იყოს სამსახურის კაცი-მეთქი. მე-
ორე დღეს ჩემი თანამშრომლები
მეუბნებინან, ერთმა ახალგაზრდამ
მოგაკითხა და რომ არ დახვდი,
გაცოფდაო, სასწრაფო საქმე მაქვს
და ადგილზე რატომ არ არისო.

ასეა ყოველთვის: თვითონ არ
დაგხვდებიან ადგილზე და მერე
გამოღმა შემოგედავებიან ხოლმე.

ნახ. ბ. შირცხალავასი

მჩავედკუთხელი

— ერთი ქალი მიყვარს, — გა-
მომიტყდა სიყრმის მეგობარი. —
მაგრამ, ეჰ, ის ბრმა არ არის და
სხვა უყვარს. ის კაციც არ აღმოჩ-
ნდა ბრმა და სხვა, მეორე ქალი,
უყვარს. მეორე ქალიც არ ყოფი-
ლა თურმე ბრმა და მესამე კაცი
ყვარებია. იმ მესამე კაცს — მესამე
ქალი და ასე: მეოთხეს — მეხუთე.
მეექვსეს — მეშვიდე, ის მეშვიდე
ქალიც არ აღმოჩნდა ბრმა და მე
ვუყვარვარ. მე კიდევ არც ისე
ბრმა ვარ და ის ერთი ქალი მიყ-
ვარს... და ამდენი ხალხი ვართ
ასე ერთ გაწამაწიამი.

აკოლონ ბასილია



— ამ შანრით ორთქლიგავალ ვაჩერებ და ტაქსი ვერ გავაჩერებ!

ჩამწარებული კაობა

ტელეფონობანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ჩართვა

ახლა
თბილისის ტელეფონს
ჩემი ხობტა და
რითმები...
ერთხელ,
ბებერ ცოლს ვურეკავ...
ერთ ლამაზ ქვრივთან
ვირთვები.
სალამოს რვისთვის დათქმული,
ექვსიდან
უკვე ვირთვები...
ასეთ
მადლიან
ტელეფონს
უკუთვნის ნაზი რითმები...
მიტომაც, დილით მზის დისკო
მეგონა ბურთი თითბერის.

2. გაზორტვა

შენ არ თქვა,
თითქოს,
აღარ მახსოვარ!
გსახავ მეგობრად,
როგორც გსახავდი,
რომ ტელეფონი
ტელეფონობდეს,
დავირეკავდი
წშირად აქამდი!..

3. შეარჯადიფილი

გართალი თუ გინდა!..

— ქალიშვილო, მამაკაცის ტუფლი თუ
გაქვთ?
— არის, ბატონო!
— ეს რომელიც უბარბიკისაა?
— თბილისის...
— არ მინდა! ის მეორე?..
— ისიც...
— არ ვარგა, გურამ! — ურჩია მეულ-
ლემ, რომელიც გვერდით მიჰყვებოდა.
— აი, ის მიჩვევით!
— ესეც თბილისის ყოფილა!
— ბოლოში, მაგრამ თქვენი მეულლე
სადაური ბრძანდება? — ჩავერეე საუ-
ბარში.
— უცნობმა აღმაცერად შემოხედა
და ერთგვარი უხერხულობით მიპასუხა:
„აქაური გახლავს!“
— შე კაცო, ცოლი „აქაური“ გითხო-
ვია და ტუფლს გვიწუნებ აქაურს?

გელეფონით

— ამხანაგო თავმჯდომარე! მე სარ-
ლიონი გაწუნებთ, რელაქციიდან!
— ოჰ, სარლიონს გაუმარჯოს! რა ამ-
ბავია ჩვენს თავზე?
— დიდი არაფერი, დარიკო ბრიგა-
დირზე წერილი დაწერე. კარგი წერილი
გამომივიდა, მაგრამ გვარი დაამეწყადა,
არც გავმის შესრულებასზე მაქვს მონა-
ცემები...
— აბა, რა დაწერე, შე კაცო?! და-
რიკო ქმარშვილიანია, რამე ხიფათს არ
გადაგვყარო!

3. მიქებრიფილი

ვლადიმერ გოლოზოროვად

ფრაზები

- გრაფობანებს შორის ის განხვავებაა, რომ ერთნი იბეჭდებიან, მეორენი — არა.
- რატომ უნდა ვიცუროთ დინების საწინა-აღმდეგოდ, როცა არის მდინარეები, რომლებიც ჩვენთვის საჭირო მხარეს მიედინებიან?
- ათეისტის ილუმინალი საწუხარი: „რა გვე-შველება უღმერთოდ?“
- თუ თქვენ გინევთ თქმა იმისა, რასაც არ ფიქრობთ, უმჯობესია ილაპარაკოთ დაუფიქრებლად: დროს მოიგებთ!

რ. მებრელიძე

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილჩაჩავამ




— კიდეც ფულს მთხოვ, ქალო?! არ ამოიყვან-
ნო მავ კლავორებიზე, თორემ!

ნახ. მ. აბაშიძისა



— თავიდან მეს მამედან დავიწყე!..



— სახვი!
— მანეთი, ხომ?

მთელი ღამის ლოდინის შემდეგ,
დილის 9 საათზე, სამშობიარო სახ-
ლის კარები გაიღო და ბიჭის შეძენა
მახარეს. ახლა არ მოვყვები გლახა
ანონიმშიკივით იმ ამბის თხრობას,
თუ როგორ ჩავიყავი ჯიბეში ხელი,
როგორ ეცოტავა 10 მანეთი მახარო-
ბელს, როგორ შემომხედეს შურით
გოგოს მამებმა და ა. შ. გახარებული
ვეცი ტელეფონს (არც იმას ვიტყვი,
რამდენი ორკაპიკიანი ჩაყლაპა ავ-
ტომატმა) და დავრეკე სამსახურში.

— გამარჯობა, უფროსო!
— ვაგიმარჯოს!
— ბიჭი შემეძინა, უფროსო და,
თქვენის ნებართვით, დღეს ცოტა
დამაგვიანდება...
— მღარიჩი შენზეა! ღმერთმა
ვაგიზარდოს! შენი ფეხი არ ვნახო
ორ კვირას სამსახურში! იქეიფე და
დრო ატარე!
— დიდი მადლობა, უფროსო, დი-
დი!..

ტელეფონი დაგვიდე და ცოლისა-
თვის ყვავილების საყიდლად გავვარ-
დი ბაზარში (არც იმას მოვყვები,
რომ ბაზარში ძალზე ძვირი ღირს
ყვავილები). ორი კვირა უცებ გავიდა
და გამოვცხადდი სამსახურში.

— სად დაეთრევი, ბიჭო შენ?! —
დაიღრიალა უფროსმა.
— ბიჭი შემეძინა და...
— ბიჭი შეგეძინა! შენც ახლა
ნიუტონი გაგიჩნდა!

— ჩემი ბიჭი ჩემთვის ნიუტონიც
არის და პელეც! — მიუზღე ამყად.
— რაც ლოთი და ბეჭუტურა შენა
ხარ, ის იქნება შენი ბიჭიც! — ისეთ
ტონზე თქვა უფროსმა, თითქოს ის
ბამბით იწურავდა ღვინოს პირში.

— რატომ მლანძდავ, ბაგრატირ?
თქვენ არ გამიშვით ორი კვირით,
მიდი, იქეიფო!

— რაო?! ორი კვირით შენ კი არა,
სიდედრს ვერ ვიმეტებ გასაშვებად.
— კი მაგრამ, ტელეფონით თქვენ
არ გელაპარაკეთ?

— მეე? — ისე გაიკვირვა ბაგრა-
ტირმა, რომ შემეშინდა თავლები არ
გაღმთცვენოდა ბუდიდან, — მე მე-
ლაპარაკე? უყურე ამ აფერისტს! იცი
ჩვენი ტელეფონების ამბავი და დააბ-
რალე ატეესს, ხომ? — თქვა ბაგრა-
ტირმა და კაბინეტში შემოსულ ვერი-
ჩქა მდივანს უბრძანა, ჩემი მოხსნის
პროექტი შეედგინა.

— მღუპავ, ბაგრატირ?! ვიჩივლებ!
— მე რას მერჩი! ატეესს უჩივლე,
ეგება ჩემი ტელეფონიც ამუშავდეს
და თუ მაგ სიკეთეს იზამ, მერე ქე
მიგიღებ უკან.

— ჩემი საჩივრით რომ ატეესის
მუშაობას რაიმე ეშველებოდეს, თქვენ-
თან ვინ გამაჩერებს? ხალხისაგან
პენსია მექნება დანიშნული, — ვუთ-
ხარი გამწარებულმა, მიგუჯახუნე კა-
რები და, ა, მოვედი „ნიანგში“ სა-
ჩივლელად.

7
1973

ისრაელი აგრესორები თავს დაესხნენ
ეგვიპტესა და სირიას.

გაზეთი 108489

საქართველოს სსრ სსრკ
№ 781
26. XI. 73

